

პირველად საქართველოში „მომავალ საჯარო მოხელეთა სპარინგი“ გაიმართება

2017 წლის 1 დეკემბრიდან - 2018 წლის 30 მარტამდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის მიმართულების სტუდენტთა სპარინგი გაიმართება, რომელიც ამ ეტაპზე თემატური ხასიათისაა და გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ქალაქის (ქალაქების) ეკოპრობლემების გადაწყვეტისათვის შექმნილი ინოვაციური პროექტების შეჯიბრს.

ღონისძიების იდეა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის, ბიზნესის, განათლების, მეცნიერების, ინოვაციური განვითარების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებს ეხება და წარმოადგენს პროფესიული საჯარო მოხელის ჩამოყალიბების მოსამზადებელ, საწყის ეტაპს.

სპარინგის მიზანია: ტექნოლოგიების მოძიებისა და პრობლემის გადაწყვეტისთვის მმართველობითი ხასიათის ფსიქოლოგიური და ტაქტიკური ჩვევების გაღრმავება, მოდელების შექმნაში კოორდინაციისა და თანამშრომლობის ამაღლება, ცოდნის ინტეგრირებისა და ეკოლოგიასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მართვის უნარების რეალიზაცია,

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საჯარო მმართველობის პროგრამის - სპეციალობის სტუდენტებს (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები).

სპარინგი სამ ეტაპად გაიმართება:

1. პირველ ეტაპზე მოხდება განაცხადების მიღება და შერჩევა. განაცხადი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროექტის იდეის, განხორციელების მექანიზმების და პროექტის სხვა დეტალების შესახებ. (განაცხადი მიიღება ქართულ ენაზე).

განაცხადები მიიღება 2017 წლის 1 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე.

2. მეორე ეტაპზე გაიმართება პროექტების პრეზენტაცია და საჯარო დისკუსია პროექტს წარმოადგენს გუნდი. გუნდში წევრების რაოდენობაა: 2 – 3 ადამიანი.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მონაცემების მიხედვით:

პროექტის სახელწოდება:

პროექტის მიზანი (1-5 წინადადებით):

პროექტის დასაბუთება და მდგრადობა (პრობლემა და პროექტის საჭიროება, დაინტერესებული მხარეები, პროექტის განვითარება):

ბიუჯეტის დასაბუთება პროექტის რეალიზაციისთვის

პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

დანართები:

დანართების სახით უნდა წარმოადგინოთ ძირითად მონაწილე პირთა CV-ები.

ტექნოლოგის ავტორის დასკვნა

პროექტის წარდგენის თარიღი და ხელმოწერა:

პროექტების პრეზენტაცია - 5- 10 მარტის ჩათვლით.

3. დასკვნითი ღონისძიება - გამარჯვებულთა დაჯილდოვება ნომინაციებში; „საუკეთესო პრეზენტატორი", „საუკეთესო მენეჯერი", გუნდის წევრებისათვის დიპლომებისა და სერთიფიკატების გადაცემა.

   დასკვნითი ღონისძიება გაიმართება 2018 წლის 26-30 მარტს.

   ღონისძიების ორგანიზატორია: სტუ საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევის ინსტიტუტი ,, სტუდენტური ინიციატივის პროექტის ფარგლებში''

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელ. მისამართზე

Mail: IPAS2017@YAHOO.COM

Tel: 579584158 - ლევან სისვაძე (პროექტების კოორდინატორი)